№ 148 ივლისი 15, პარასკევი 1888 ივლისი 15, პარასკევი № 148

# ივერია


გაზეთი ღირს

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
| --- | --- | --- | --- | --- | --- |
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ-ნ ხიდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1888 სალიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1888


დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა კვირას, 17 ივლისს.


გამოვიდა და ისყიდება
ახალი ქართული წიგნი

**მამიდა ასმათი**

მოთხრობა
გ. წერეთლისა.

გამოცემული „ივერიის“ რედაქციის მიერ.
ფასი 20 კ.

წიგნი ისყიდება მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნთ-საწყობში, ბანკის ქარვასლაში, სასახლის ქუჩაზე.


ტფილისი, 14 ივლისი

ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს, რომ ისტორია ერთად-ერთი მტკიცე და შეუშლელი სიგელია, რკინის ფიცარზედ რკინის ასოებით ამოჭრილი ოქმია, რომელიც ჰმოწმობს ერს, ვინ ყოფილა და რა ყოფილა გუშინ, ვინ არის და რა არის დღეს!...

ამ სიგელს, ამ მოწმობას ერის ვინაობისას და შემძლებელობისას დიდი მნიშვნელობა აქვს, ვითარცა დიდს ტაძარს, საცა ასვენია დიდნი სახსოვარნი, დიდნი ხატნი წარსულისა და ყოფილისა.

ამისთანა დიდს სახსოვარს, დიდს ხატს წარსულისას დღეს დღესასწაულობს მთელი მართლ-მადიდებლობა რუსეთის იმპერიისა. 15 ივლისს ამ ცხრაასის წლის წინად რუსეთმა მიიღო ნათელი ქრისტეს სარწმუნოებისა და დღეს რუსეთი დიდის ზარით და დიდებით დღესასწაულობს ამ დიდებულს დღეს თავის ისტორიისას.

ნათელ-ღება რუსეთისა მოჰხდა 988 წ. 15 ივლისს კიევში, მაშინდელ რუსეთის დედა-ქალაქში, მოციქულთა-სწორის წმინდა ვლადიმირის მიერ. ჯერ მინამ წმ. ვლადიმირი გამთავრდებოდა და მის მიერ რუსეთი მიიღებდა ქრისტეს სარწმუნოებას, ქრისტიანობის გამავრცელებელნი მოძღვარნი საბერძნეთიდამ ხშირად ჰქადაგობდნენ ქრისტეს რჯულს რუსთა შორის. იმათის დვაწლით ქრისტიანობა შიგა და შიგ ზოგიერთს ალაგას რუსეთში ფეხ-მოკიდებული იყო ჯერ კიდევ იგორის დროს, რომელიც ოლეგის მერმედ გამთავრდა და გადაიცვალა 945 წ. კიევში იყო ქრისტიანთა ეკკლესია წმინდა ილიას სახელობაზე და თვით იგორის მხედრობაში იყო არა ერთი და ორი გაქრისტიანებული მხედარი რუსთაგანი. იგორის მეუღლემ, წმინდა ოლგამ, ხომ თვითონაც მიიღო ქრისტიანობა და იმის დროს ცოტად თუ ბევრად გაძლიერდა რუსეთში ქრისტიანობა, რადგანაც წმინდა ოლგა, თვით ქრისტიანე, სწყალობდა ქრისტიანეთა.

ხოლო სახელი და დიდება რუსეთის ნათელ-ღებისა დაინარჩუნა იგორის და ოლგას შვილი-შვილმა ვლადიმირმა, რომელმაც დაიჭირა კიევი 980 წელსა და ერთმთავრობა რუსეთისა დაამყარა. მოციქულთ-სწორი წმინდა ვლადიმირი ჯერ პირველ ხანში წარმართი იყო. წარმართობის დროს რუსეთი თაყვანს სცემდა სხვა-და-სხვა ღმერთებს, რომელთ შორის პირველი ადგილი ეჭირა პერუნს, ღმერთს ცეცხლისას, და უფრო შექა-ქუხილისას და ელვისას; მეორე იყო ვოლოსი, ღმერთი საქონლისა და პირუტყვისა, სტრაბოგი, ბძანებელი ქარისა, დაჟბოგი და ხორსი, რომელთ სახელითა თაყვანს სცემდნენ მზესა. ამ უმთავრესთა ღმერთთა გარდა თაყვანსა სცემდნენ მრავალს სხვას მეორე ხარისხოვან ღმერთებს, მაგალითებრ, წყალისას, ტყეებისას და მებრვე სხვათა.

ქრისტეს რჯულის მოძღვართა, საბერძნეთიდამ მოსულთა, შეურყიეს ვლადიმირს წარმართობა და შთააგონეს სარწმუნოება ქრისტესი იქამდე, რომ მოიწადინა გაქრისტიანება. ეს წადილი განუცხადა თავის კარის-კაცთა და მხედრობასაცა. ამასობაში ვლადიმირს მოუხდა წასვლა ტავრიდაში საომრად და როცა იქაურს ქალაქს კორსუნს ალყა შემოარტყა და აღება გაუძნელდა, მაშინ აღთქმა დასდვა, თუ ავიღებ, მოვინათლებიო. კორსუნმა ბოლოს და ბოლოს ვეღარ გაუძლო ვლადიმირის მხედრობას და კარი გაუღო. როცა კორსუნი დაჰმორჩილდა, მაშინვე ვლადიმირმა გაუგზავნა მოციქული საბერძნეთის იმპერატორებს ვასილის და კონსტანტინეს, ითხოვა ცოლად მათი და ანნა და შეუთვალა თვისი სურვილი გაქრისტიანებისა. გახარებულმა იმპერატორებმა მაშინვე გამოჰგზავნეს თავიანთი და ანნა, თან გამოატანეს მღვდლები, რომელთაც ნათელ სცეს რუსის მთავარს, მის შვილებს და მხედრობასა 988 წელსა.

კიევში ვლადიმირმა უბძანა შეჰმუსრონ სამსხვერპლონი და პირქვე დაამხონ ბუთნი. პერუნი გამოაბმევინა ცხენის კუდს და ჯოხის ცემით ჩაათრევინა და გადააგდებინა დნეპრის მდინარეში. საბერძნეთიდამ გამოგზავნილი მღვდლები დაიარებოდნენ სხვა ქალაქებსა და დაბებში და ჰქადაგობდნენ ქრისტიანობას. ხალხი, რომელიც საზოგადოდ ეგრე ადვილად ვერა სტოვებს ხოლმე ძველსა, ურჩობდა და სანატრელის სისწრაფით არ ეძლევოდა ახალს რჯულსა. რა ნახა ეს ვლადიმირმა, უბძანა კიეველებს, რომ დედა-ბუდიანად მოგროვილიყვნენ დნეპრის მდინარის კიდეზედ. აქ დიდის ყოფით და ამბით ნათელ-იღო ხალხმა. ეს მოჰხდა 15 ივლისს 988 წელსა და მას აქედ ცხრაასი წელიწადია. ამ ცხრაასს წლოვანობას რუსეთის ნათელ-ღებისას დღესასწაულობს დღეს მთელი რუსეთი კიევში, ესე იგი, იმ ძველს ქალაქში, საცა პირველ მოინათლა რუსეთის ერი და თანაზიარ ეყო მართლ-მადიდებელს ქრისტიანობას.

გაზეთები გვაუწყებენ, რომ დიდძალი სამზადისია მთელს რუსეთში და ნამეტნავად კიევში ამ დიდებულის დღის დიდებულად დახვედრისათვის. თითქმის მთელის რუსეთის სამღვდელოებისაგან წარგზავნილნი არიან წარმომადგენელნი, რათა დაესწრნენ ამ სასახელო დღესასწაულსა და პატივი სცენ სადღესასწაულო დღეს. ჩვენმა მკითხველებმა იციან, რომ საქართველოს საექზარხოსოდამაც წარგზავნილია ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოზი ალექსანდრე.

## ახალი ამბავი

*** კიდევ და კიდევ შემოგვჩივიან, რომ ქალაქის ვაჭარის ხალხის თავ-გასულობას საზღვარი არა აქვსო. ამათ კანონში არა სწერია არც რიგიანი ქცევა მყიდველთან, არც ნიხრი, არც სუფთაობა. კაცმა რომ გაიაროს ბაზრებისაკენ მეიდნებზე, თვალში ეჩხირება პატარ-პატარ ქოხები ზედ წარწერით: „торговая полиція“. ამ პოლიციის მიუხედავად კინტოები და ჩარჩები სცარცვავენ როგორც მომტანს, ისე გამყიდველს. ბრინჯის, ხახვის, ყველის და სხვა

## ფელეტონი

### სიმღერა

როგორც სიზმართან ნამდვილი,
სიბნელე სინათლესთანა,
სიყმაწვილესთან სიბერე,
ზამთარი გაზაფხულთანა,—
ისევ მესამე, მეორე
პირველს სიყვარულთანა.

ბაჩანა

### ბნელო

(მოთხრობა)

IX *)

დაწყება საქმისა

დროთა ვითარების გამო მრავლეთში სასოფლო თვალ-საჩინოდ გადიდდა. მთელ მამულაშვილების ნასახლკარი და ნახევარი საფუთკრისა სასოფლოს შეემატა; საფუთკრის მეორე ნახევარი-კი არტემა არზუმანოვმა შემოლობა თავისთვის. მამულაანთ სახლისა თითო ადლის სიმაღლე კედლის ნანგრევები-ღა იყო დარჩენილი და შიგ ლამ-ლამე ზაფხულობით არტემას საკლავი ძროხები და ცხვრები ეყარნენ ხოლმე. მარნის კედლები, თუმცა ისევ ხელ-უხლებელი იყო, მაგრამ ჭერი-კი ზედ აღარ ედგა და ქვევრების გამოზიდვაში კარებიც ჩამოენგრიენათ. მარცხენა კუთხეში შიგნიდამ უკან მიშენებული ჰქონდა პატარა ქოხი, შამბნარით დახურული. ამ ქოხში სცხოვრობდა არტემას ნათლიმამა ზაქარია მამულაშვილი, რომელიც ერთად-ერთი-ღა დარჩა თავისს ეზო-ყურეში და, სხვა თავისის ძმებისა და ბიძაშვილებისავით, არ გადაეარდა სხვაგან: იქნება იმისთვის, რომ თავის ნათლიას „სამადლოდ იოლას მიჰყავნდა“. არტემას საკლავებს დასდევდა და თვეში იღებდა იმისგან სამ მანათს ავეჯით. წინანდელ პატარა დუქნის ალაგას არტემამ ააშენა ორი თვალი ქვითკირის დუქანი. ერთს თვალში იყო ფარჩის დუქანი, მეორეში ბაყლისა და საწვრილმანოსი. ორივე დუქანს არტემა თავისის ფულით ამუშავებდა. რადგანაც არტემამ ბევრი ვენახები შეიძინა და დიდ ზვრებად გადააქცია, ხილობის დროს ცოლშვილი მოჰყავნდა ხოლმე მრავლეთში: „გაიხარებენ ყურძნით სავსე ვენახებშიო“. ამისთვის საჭიროდ დაინახა არტემამ სახლის აშენება და კიდეც ააშენა თვალაზედ ორ-ოთახიანი ქვითკირის სახლი, ფართო აივანით, და უკანაც ბაღი გაუკეთა „საგულაოთ“. ეზოს გარშემო შემოავლო მაღალი ძეძვის ღობე და სახლის წინ დადგა დიდი ალაყაფის კარები.

ერთს კვირა დღეს სასოფლოზე ჩვეულებისამებრ შეყრილიყო ხალხი. ზოგი იდგა ჯგუფ-ჯგუფად დუქან წინ, ზოგნი ისხდნენ, დაფანტულად, იმ ხეხილებს ქვეშ, სადაც როდესღაც ელაგა ფუტკრის გეჯები. ერთს ფურცელზედ, ნასაფუტკრალშივე, გამობმული იყო ლურჯი ულაყი ცხენი და ხელს უსვამდა ერთი არტემას მოჯამაგირეთაგანი. თვითონ არტემაც იქავე იდგა და, ქოშებით და ხელში კრიალოსნით, სიამოვნებდა ცხენის ჭიხვინით და მაღლა-მაღლა ხტუნვით. ამ ჟამად არტემა არ იქნებოდა ორმოცდა-ხუთის წლისაზე მეტი. იგი საზოგადოდ მოხდენილი კაცი იყო. მსუქანი და მრგვალი პირისახე მოპარსული ჰქონდა—ულვაშები ქერა და პატარა, წარბებიც ქერა, ცხვირი ზომიერი და თვალები ჭროღა. თავზედ ეხურა „კარტუზი“, წინ გადმოწეული; მოკლე, თეთრიანი ჩითის ახალუხი ეცვა და ვიწრო შალვარი, კოჭებამდინ ჩამოშვებული. წელზედ ერტყა ოქროს წყალში დაფერილი ვერცხლის ქამარი და გულზედ საათი ჰქონდა გაკეთებული. ტანად წამოსადეგი იყო და ღიპის გადიდებაც შეჰპაროდა ცოტათი. არტემა ძალიან ჭკვიანი და მოხერხებული კაცი იყო. თუ წინად „რეტიანსა“ და „დაუჰტვინეს“ ეძახოდნენ, ეხლა დიდის მოწიწებით მიჰმართავდნენ ხოლმე: „ხაზეინო“, ანუ „აღავო“. მხოლოდ ერთი ცუდი ხასიათი დასჩემდა ბოლოს და ბოლოს დროს: წრეს გადასული გულ-ფიცხი იყო. ერთად-ერთი მაღალი სიტყვა იყო საკმარისი, რომ ყბები ზედ შემოემტვრიენა მთქმელისთვის. არტემა არავის არ არჩევდა, ყველა ერთი იყო იმისთვის: სუდია იქნებოდა, მწერალი, თუ უბრალო კაცი. მხოლოდ მამასახლისს უთმობდა ყველაფერს, ისიც მეგობრობის გულისთვის და პურ-მარილის პატივის ცემით. ძალიან იშვიათად მოჰხდებოდა ხოლმე, რომ ურთმანეთოთ პური ეჭამათ. აი ეხლაც არტემასთან იდგა მამასახლისი თავისის ამალით, სუდიებით და ილიაში დავთარ ამოჩრილის მწერლით, და ეხუმრებოდა, ელაზღანდარავებოდა. ხუმრობასა და ცხენის ყურებას მაშინ დაანებეს თავი, როცა არტემას სახლიდამ გამოვიდნენ და გასწიეს იმათკენ არტემას მეუღლე მაქთაღინამ და ერთმა კნეინამ—სამზეურებით ხელში. მაქთაღინას წინ მოუთამაშებდნენ ორი გიმნაზიურ ტანისამოსიანი ვაჟიშვილი და ერთი პატარა ბავშვიც უკან ბიჭს მიჰყავნდა. სახლის კარების გასაღები რომ გადასცა მაქთაღინამ ქმარს, უთხრა:

— კნეინა მეპატიჟება ბაღში და კიდეც „გავიგულავებთ“.

— ცარიელები-კი არ მოხვიდეთ, კნეინავ!—მიაძახა არტემამ.—ცოტა მსხალი წამოიღეთ!

— ბატონი ხარ!—სთქვა პასუხად კნეინამ.

ფიქრი და ვარამი დანარჩენის ხალხისა სულ სხვა იყო. ერთგან მეველე ედგა მოწანახედეს პირში და ამტყუნებდა; მეორეგან შესჩიოდნენ ერთმანეთს, რომ წელს სულადი ძალიან იაფად გაკვეთესო, მესამეგან გუთანზე ეთელებოდნენ. ერთის სიტყვით, რამდენიც გროვა იყო ხალხისა, იმდენი სხვა-და-სხვა ნაირი საგანი იყო საუბრისა. ერთს ადგილს იყო მეტად საინტერესო ბაასი. ამ ადგილს მოგროვილიყვნენ სულ ისეთი ბიჭები, რომელნიც იყვნენ ერთმანეთთან შეკავშირებულნი მუშაობის სიყვარულით.

— კაცო, შე ოჯახ-დასაქცევო, ოთხი-ხუთი წელიწადია, სუ ჩემი მოდგამი იყო ე ილია, ეხლა რისთვინ-ღა გადამიბირე?—ეუბნებოდა ერთი გუთნის დედა მეორეს.

— კაცო, ან ოჯახ რიჰთვინ მიქცევ და ან სხვასა? კაცია და გუნება. ილიას თითონ აღარ უნდოდა შენთან შათელა და ჩემ გუთანზე შეეთვალა. შენა გგონია, მე ძალათ გამოვიყვანე? აი ჰკითხე, კარამც აქ არი. ილავ, მე ძალათ გამოგიყვანე, კაცო, ამიდამ?

— ძალათ როგო გამამიყვანდი, ჩემი ქეიფი იყო და შეეეთვალე შენ გუთანზე! აბრიას არ ეყო, ოთხი-ხუთი წელიწადი სუ მაგი გუთანზე ვედექ?

— ბიჭო, არა გრცხვენიან, რო მაგთენი ამაგი შენიცა და ჩემიც გააცრუვე, შე ოჯახ-აშენებულო? რა დაგიშავე იგეთი, რო ემაგრე ქვა მამაგდე?

— რა ვქნა, აბრი, ვინ ამობს, რო დამიშავე რამე? ოთხი-ხუთი წელიწადია, სუ შენთან ვენამ და ვთესამ, სუ შენ ხო არ ჩამოგაბერდებოდი? მეცა ვთქვი, ახლა სხვაჰთან შევეთელები, ვნახოთ, რა იქნება-მეთქი. რა ვიცი, იქნება ბედი ახლა სხვანაირათ დამიტრიალდეს!

— არა, ჩემო ძმაო, რაც უნდა ჰქნა, მე შენ თავს არ დაგანებებ! არ ვიცი ამი გაიძვერა თავის ამბავი, შაგაგულიანა და გაგიყვანა ჩემიდამ.

— არ დაანებებ თავსა რა, ონაობაა?

— ჩემა მზემ, ცოცხალი თავით თავს არ დავანებებ! თუ არა-და, წილი უნდა ვყაროთ და ვისაც ერგოს, ერგოს.

— მოდი მართლა ერთი ყარეთ წილი, წამაიძახეს ილასთან მსხდომმა ბიჭებმა, და რაც გაკდეს-გაკდეს!

— იქნება თითონ არ უნდა წილის

*) იხ. „ივერია“ №№ 141, 142, 143, 145, 146 და 147.

სურსათის ყიდვა რომ უნდოდეს კაცს, თავისს დღეში მომტანისაგან ვერ იყიდის: ჩარჩები და კინტოები არ მიუშვებენ. თითონ ხომ თავის დღეში ახალს საქონელს არ მიჰყიდიან მუშტარს; ახალს ინახავენ, ძველს, დამპალს ასაღებენ და ისიც ერთი ხუთად და ათად. ამას ჯანი გავარდეს, რომ სასწორში არ ატყუებდნენ: ან საწონი ქვები უნდა სტყუოდეს, ან სასწორის ულელი, ან თითონ ამწონი. ყველა ეს კარგად იცის „торговая полиція“-მ მაგრამ აქედგან არა გამოდის-რა. ან რა უნდა გამოვიდეს, როდესაც ყალბობას არა სდევნიან.

*** პოლიციის მეექვსე ნაწილში, მნაცაკანოვის ხიდთან, მრავალი ხალხი დადის მტკვარში საბანაოდ. წარსულს სამშაბათს ერთი 14—15 წლის ყმაწვილი შეიტყუა წყალმა და წისქვილის ბურჯებისაკენ გააქანა. ისე უცებ მოხდა ეს ამბავი, რომ ვერავინ ვერ მიეშველა საბრალოს. მეჩანგლეები იქვე თევზს იჭერდნენ, იმათ მიაწოდეს გრძელი ჯოხი და ამოიყვანეს ყმაწვილი.

*** იქით კვირას სოფ. მეჯვრისხევში ქართულის წარმოდგენის გამართვას აპირებენ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ. ამ წარმოდგენაზე ჩვენი არტისტი ვ. აბაშიძე მიუწვევიათ.

*** ჩვენ გვატყობინებენ, რომ სოფ. დიღომში ორი-სამი თვეა, რაც ყვავილი მძინვარებსო. ამისდა მიუხედავად ამცრელი არა ჰყოლიათ და არც ტფილისიდგან გაუგზავნიათ. ერთი ვიღაც დალაქი მისულა, ოციოდე ყმაწვილისათვის ყვავილი აუცრია და ისევ დაბრუნებულა. ხალხი დიდს გაჭირებაშია.

*** სოფ. ნორიო: სოფელ ნორიოს კარგა მოშორებით, სადაც კახეთის გზა-ტკეცილია გაყვანილი, სახნავ-სათესი მამულები აქვს. ამ დღეებში რამდენიმე გლეხი ურმებით წასულა აქ ძნის მოსატანად და რადგან ეს ადგილი, როგორც ვსთქვით, სოფელზე მოშორებულია, ამიტომ ღამე იქ დარჩენილან. მკათათვის დღეში მუშაობით დაღალულ-დაწყვეტილს გლეხებს მაგრად დასძინებიათ ძნით დადებულ ურმებთან. შუაღამისას მძინარე უთოფ-უიარაღო გლეხებს უცბად დასცემია რამდენიმე შეიარაღებული კაცი და, რაც რამ ჰბადებიათ, ყველაფერი წაურთმევიათ, ასე რომ საწყლები მარტო თავისის თავის ანაბარა-ღა დარჩენილან. ამათი ბედი კიდევ, რომ ხარები შორსა ჰყოლიათ წასხმული საძოვრად, თორემ საწყლები ამაზედაც ხელ ცარიელები დარჩებოდნენ.

*** ქუთაისში ხშირად მკვიდრსაც შეეშლება ქუჩების სახელ-წოდება, რადგან ქუჩებზე არ არის გაკრული წარწერიანი თუნუქები და თუ ვინმე უცხო მოხვდა როგორმე იქ, ტყუილად ნუ იფიქრებს, რომ ქუჩების ასავალ-დასავალი გაიგოს. თუ დაეკითხა ვისმეს, მაშინ ხომ წილადობილად უნდა მოუყვეს გაოცებული მკვიდრი: ამ ქუჩას რომ გახვალ, მერე მარცხნით შეუხვევ, მასუკან გაუხვევ და ორ-სართულიანი სახლი რო დგას, სწორედ იმ ეზოში იკითხეთ და შეგატყობინებენ ყველაფერსაო. მოდი და გაიგე რამე. ქალაქის გამგეობამ თურმე ერთს სხდომაზე ყველა ქუჩები და შუკები განათლა, მაგრამ ქართულ-რუსულად წარწერიანის თუნუქების გაკვრა ისე აწუხებს იმას, როგორც მე და შენ თუ გინდ სადმე ოკეანეში განმარტოებით მყოფს პაწაწკინტელა კუნძულის ბედ-იღბალი.

*** ქუთაისი: რაც ქუთაისის პოლიციას ახალი უფროსი დაუნიშნეს, უქმე დღეობით სარწმუნოების გასარჩევლად ყველას დუქნები იკეტება წირვის გამოსვლამდე. მხოლოდ ხორაგეულის დუქნების პატრონებს ნება აქვსთ ღია იქონიონ, რომ მცხოვრებნი უსურსათოდ არ დარჩნენ. თუმცა ასეა, მაგრამ ბევრი გაუსხლტება ხოლმე ამ განკარგულებას და ძველებურად ვაჭრობს და უფლის განსვენების დღესაც არ იშლის მუშტრის გაკურებასა.

***სოფ. ასკანა (ოზურგეთის მაზრა): გაზაფხულმა შეუწყვეტელის წვიმებით და ქარით მოგვაბეზრა თავი და ძალიან შეგვიშალა ხელი. „ჩვენებური“ ვენახი დიდი ხანია, რაც აღარ არის, დაგვრჩა ერთი „ოდესის“ ვენახი და წელს ისიც სრულებით გაფუჭდა, ასე რომ ვინც წინად სამს საპალნე ღვინოს დააყენებდა, ის ეხლა ნახევარსაც ვეღარ დააყენებს. ეხლა დაიწყო ერთობ დიდი სიცხეები (30° R.) და ერთი წვიმაც აღარ გვეღირსა. ყანები სრულებით გახმა, რადგან გურიაში სარწყავი მამულები იშვიათია, და რომელიც არის, არც ის ირწყვება იმიტომ-რომ ჩვენ დაჩვეული არა ვართ რწყვას და ყოველთვის მარტო ცას შევყურებთ. გახშირდა ციება, ცხელება, „უნდომობა“ (საოფლე) და მრავალი სხვა ავადმყოფობაც. ყოველსავე საშუალებას მოკლებულნი ავადმყოფნი დიდს გაჭირებაში არიან; ექიმის შოვნა ჩვენში ყოვლად შეუძლებელია. ბ-ნი მაზრის ექიმი დ. რიგიანად ასრულებდა თავისს მოვალეობას, მაგრამ ჩვენდა საუბედუროდ ამას წინად ცხენიდგან ჩამოვარდა და ხელი მოიტეხა. შემდეგ იმისა აღარსად აღარ მიდის ცხენით. ფაეტონს თუ უშოვნიან, გაჭირებით შეიძლება წავიდეს ავადმყოფთან ოზურგეთის ახლო-მახლო სოფლებში. დაგვრჩომია მხოლოდ ერთი „ფერშალი“ ბ... თითქმის მთელი გურია (15 საზოგადოება) იმის მოწყალებას შეჰყურებს და, როცა ავადმყოფი უკანასკნელ ყოფაში ჩავარდება. მაშინ მირბიან ფერშალთან, მაგრამ იმისი პოვნა და მოყვანა ადვილი საქმე არ არის. ზოგჯერ ერთი კვირაც რომ ეძიოო, ფერშალს ვერ იპოვნით, რადგანაც სოფელ-სოფელ დაატარებენ და ამიტომ, რასაკვირველია, სახლშიაც იშვიათად ბრუნდება. მთელი ზაფხული ისე გაივლის, რომ იმის სახლზე ყოველ დღე ელოდება ხუთიექვსი კაცი. მოვა თუ არა ფერშალი სახლში, მოსვენებას ლამობს, დაღლილი ვარო, და, რასაკვირველია, იმას წაჰყვება, ვინც მეტს ხელ-ფასს მისცემს.

ჩვენ შევიტყეთ, რომ გურიაში ექიმად ნიშნავენ ბ-ნს დ. ერისთავსაო, და დიდად სასიხარულოდ გვაქვს ეს ამბავი. იმედია, შემდეგ აღარ გაგვიჭირდება ექიმის შოვნა ისე, როგორც ეხლა გვიჭირს.

*** სოფ დიდ-გარეჯვარი (გორის მაზრა): კვირას, 10 ივლისს, აქ შემდეგი ამბავი მოხდა. ერთს აქაურს აზნაურს ყ—ს სოფლის მეველემ მინდორში ბატი მოუკლა. ბატის მოკვლა ყ—მა რომ შეიტყო, ძალიან გაგულისდა. სადილს შემდეგ ცოტათი შეღვინიანებული გამოვიდა კარში და შეუვარდა სახლში თავის სახლი-კაცს მეველეს, მაგრამ სახლის პატრონმა შემოუტია და სახლიდგან გამოაგდო დერეფანში. აქ რომ ვერას გახდა, შეეჰრა მეორე სახლი-კაცს, რომელიც სოფლისაგან მოყადაღედ არჩეულია, და მოყადაღემაც როგორც იყო მოიშორა თავიდგან. დაუცხრომელი ყ—ი გამოვიდა მოედანზედ და ლანძღვა დაუწყო თავისს სახლი-კაცებს და გლეხკაცებს, რომელნიც მოშორებით იდგნენ და ამ ამბავს უყურებდნენ. შემდეგ დაუახლოვდა გლეხ-კაცებს (ჭალიძეებს). ერთი ამათგანი მეველედ იყო ამორჩეული. ყ—ი ისე იქცეოდა, რომ ქალები და ბავშვები მოჰყვნენ ტირილს და გაიქც-გამოიქცნენ. შეიქმნა ჩოჩქოლი. ყ—მა დაიწყო გლეხებზედ წევა. ამ დროს ერთმა გლეხმა შეამჩნია ყ—ველს ახალუხის საყელოში რაღაცა მახვილი, მიუახლოვდა და ტკბილის სიტყვით უნდა დაეტყუვნა, ან წაერთმია, მაგრამ, როდესაც ვერას გახდა, თავი დაანება. ამის შემდეგ ყ—ი უფრო გაბრაზდა. ამ დროს გამოქანდა ერთი ახალგაზდა გლეხთაგანი და ეცა დასაჭერად. გლეხმა მოასწრო ხელების დაჭერა, ყ—მა მალე გაინთავისუფლა ხელი და შემოუქნია, მაგრამ აუცდა. მეორედ და მესამედ-კი მარჯვენამ არ უღალატა და შემოჰკრა სტოლის ჩანგალი ფერდში და მერე ნეკნებში გულის პირდაპირ. მეოთხედაც უპი-

---

ყრი! ილავ, ვყაროთ წილი, ყაბული გაქვ?

— ჰყრით და ყარეთ, მე რა მენაღვლება!

— მე გავწყრები! წამოიძახა ერთმა.

— არა, შენ მიხას დაუჭერ მკარს, აი გიო გაწყრეს!

— გიო კიდე შენ მკარეს დაიჭერს!

— მაშ აი, ეს ღვთის კაცი გავაწყროთ, წაავლო აბრიამ ერთ ბიჭს ხელი.

მოგიშვეც დასთანხმდა. ბიჭი გავიდა მობაასეთგან, ორმოც ნაბიჯზედ გადგა, იმათკენ ზურგ-შექცეული, ორივე ხელები მაღლა აიშვირა, ერთი მომუჭული, მეორე ტაშად გაშლილი. ერთი გუთნის დედა ეუბნება მეორეს ჩუმად:

— თუ მუჭტი ჩამოიღოს, ილა იგრევ მე დამრჩეს, თუ ლავაში, შენ.

— აბა, ჩამოიღე! დაუძახეს გაბუტულს და იმანაც ჩამოიღო ლავაში, ანუ სილა.

— ოჰ, მიხას ერგო, მიხას! შექნეს კიჟინი: მიხავ, ტომბახი, ტომბახი!

— რაჰ მაშინებთ, რა? ძლივ ჩავიგდე კელში ერთგული ლამი მეკრე და თავ გავიხრი? ჩემი დღენი დატანჯული ვიყავი ლამი მეკრეებისაგან. ის ოჯახ-დასაქცევნი, შაჰრეკამდნენ ბაკში კარს და თითონ კარებზე მოუწვებოდნენ. გათენებამდინ შიგ ეყარათ, გათენებისას მოჰრეკამდნენ და კარებს ფერდი ფერდს უცემდათ შიმშილისაგან. აბა, მოდი და მშიერი გუთნეულით მოჩიჩქნე რამე! იმ ულმერთოებს, არც თავისი ენანებათ და არც სხვისა. როცა ესეები გადამკვდია, ეხლა უარს ვიტყვი ტომბახზე, რო ილა კელში ჩავიგდე? მაიტა, ილავ, კელი, რო აღარ გამიმტყუნდები!

— ჩემი სიტყვა სიტყვაა! როცა პირობა მოგე, კიდეც შავასრულებ, — უთხრა ილია თვალიაშვილმა და მისცა ხელი.

სიტყვას „ტომბახი“ ყური მოჰკრეს სუდიებმა და მწერალმა და მიაშურეს ბაასის ადგილისკენ. როცა გაიგეს, საქმე რაშიაც იყო, ჩაავლეს მიხას ხელი და მიიყვანეს დახლთან.

— ემათ არაყი დაალევინე, გეურქ! —უთხრა დახლიდარს მიხამ.

— ფული სტოიკაზე!

— საღამოზე მოდი კალოზე და პური წამაიღე.

— რამეთი ტრიცეტკა?

— რა ვიცი, ერთი იყოს, თუ ორი.

— ორი ტრიცეტკა რამთენ ერთს?

— ყველას რო მივყვე, სა წავა? ერთი საპანე არაყი არ მეყოფა.

— ყველას ვინ გეუბნება, აი ეს პატიოსანი კნიაზი ბძანდება აქა, სუდიები, მწერალი, ეს პატიოსანი ხალხი. სირცხვილი არ იქნება, რო ერთმა დალიოს და მეორემ უყუროს?

— ჰა და რა ვიცი, აბა რამთენისა ეყოფათ?

— ეგ ჩემზე მააგდე!

— ჩვენ-კი დამადი ჩამოგვივიდა მაგთენ ლაპარაკში-და! — წამოიძახა „კნიაზმა“, რომლის პასუხადაც დახლიდარმა მიართვა, ყველაზედ უწინ, რუმკით არაყი.

ამ გარემოებამ ილა მეტად აღტაცებაში მაიყვანა: რასა ლაპარაკობდა, ანუ რასა შვრებოდა, თითონაც არ ესმოდა. მხოლოდ იმას-კი სცდილობდა, რომ ამხანაგებს არ შეემჩნიავათ იმისთვის აღელვება და მოუმატა ლაპარაკს.

— ე გუთნი დედა ხო კარგი ვიშოვნე, — დაიწყო ილამ: — და გუშინ ჩ—ში ი წამოსასხამი იაფინჯიც რო მეყიდნა, ჩემ ბედს ძაღლი აღარ დაჰყეფამდა. ჰეი, თქვენმა გამარჯობამ, რა ვნახე ისა! ვაი, რო ჯიბეში ერთი მანათი მაინც არა მქონდა! კაცებო, ერთ კაცს ერთი იაფინჯი ესხა, იგეთი, რო მართლა და თქვენი მოწონებული. მემრე, იცით, როგო აფასებდა? ორი მანათიო! იაფინჯი იგეთი, რო რატო თორმეტ-ცამეტ მანათათ არა ღირდა. ბევრი ვიეც გულში, მაგრამ... არც იმ ოჯახ-დაქცეულ მამიდაჩემსა ჰქონდა იმ კელათ ფული. ერთი მანათიც რო მგდებოდა ჯიბეში, ნამდვილათ მანათათ გამოვიტანდი.

— რა ღმერთი გასწყრომია, რო იგრე იაფათა სდომებია გადაგდება? — წამაიძახა ერთმა.

— უთოეოთ ნაპარავი იქნებოდა, — წამაიძახა მეორემ.

— რა ვიცი, ნაპარავი იყო, თუ რაც იყო, ორ მანათად-კი ჰყიდდა ახალ იაფინჯსა-და!

ამ სიტყვების შემდეგ მივიდა იმასთან „კნიაზი“ და უთხრა:

— ილიავ, შენ იცი, რომ მე სახლი გამიტეხეს და „ვეჰჩები“ დამპარეს?

— რა ვიცი, ბატონო, მე არაფერი გამიგია.

— ხო იცნობ იმ კაცს, ვისაც იაფინჯი დაჰქონდა გასაყიდათ?

— როგო ვერ ვიცნობ.

— მამასახლისო! მიჰმართა კნიაზმა ჰქის კარებიდამ გამოსულ მამასახლისს: შენ ხომ მოგეცი განცხადება — თან თვალი უყო, — რომ მე სახლი გამიტეხეს? აი ეხლა ჩნდება ქურდი, ოქროულას ბიჭს უნახამ. ილიავ, აღარ გადაჰთქვა, აი! ის იაფინჯი სწორეთ ჩემი იქნებოდა.

— გადაუთქვა რა იმისი შემეშინდება-რა? დაიცა, ჩემ მეზობელ გადუდგები და სხვათა სოფლის კაცს მიუდგები?!

— ჰაი, შე დასაქცევო, ილიავ, ჩაიქე, რა სამთხრობლოს აიღებ! — უთხრეს აქეთ-იქიდამ.

— მაგაჰ რა აქვ, რო მე რა მამცეს? წარმოსთქვა ილიამ ისე, რომ „კნიაზს“ არ გაეგონა.

— შუშა-ფიჩხს ხო გამოგატანინებს მუქთათ, თუ სხვას ვერას მოგცემს.

კიდევ ბევრი ილაზლანდარა ილიამ თავისს სწორ-ამხანაგებთან და შემდეგ გახარებულმა ჯერ იმითი, რომ იმაზედ ცილობა ჰქონდათ გუთნი დედებს საქვეყნოდ, და მერეც იმითი, რომ თავისს ნაბატონარს ასიამოვნებდა, გასწია შინისკენ. ხალხიც მალე დაიშალა. ყველაზე დიდხანს დარჩა სასოფლოზე „კნიაზი“, რომელსაც მიჰმართა მამასახლისმა:

— კნიაზო შაქრო, დღეს ერთათა ვჭამოთ სადილი!

— დაიჯერე, შენ დღეს მაგისთანა კარგი არა გითქვამ-რა. სადა!

— ან თქვენსა, ან ჩვენსა.

— ჩვენსა ხელს ვერ მოგიწერ და თქვენსა-კი ძალიან კარგი იქნება.

— საცა იქნება, ერთათ-კი უნდა ვისადილოთ დღესა-და! ეჰ, რაღა საცა, მოდი და წავიდეთ ისევ ჩვენსა.

— ეგე, ეგ მოგიხდა! და დაედევნა „კნიაზი“ მამასახლისს.

## X

### მამასახლისისას

მზე კარგად გადახრილია. მამასახლისი და კნიაზი შაქრო სხედან მამასახლისის სასტუმრო ოთახში და შეექცევიან. თითქმის შუა პურის ჭამაში არიან შესულები, მაგრამ სუფრას კი არა ეტყობა-რა. კაცი იფიქრებდა, ჯერ ხელი არაფრისათვის უხლიათო, ისე გულ-უხვად იყო ყველაფერი სუფრაზე: თეთრი გამტკიცული პური, ბლომად დაჭრილი ყველი, ხიზილალა, დოში, ახალის ლოქოს მუჟუჟი, ცვავად ინდაური ერთის სიტყვით, რა უნდოდა თვალსა და გულსა, რომ სუფრაზედ არ იყო. კახურს ხომ რაღა თქმა უნდოდა.

მამასახლისმა აიღო ხელში ღვინით სავსე ჭიქა და სთქვა:

— ჰე, ეს ვიღასი დაელიოთ? ესეც ღმერთმა აღდეგრძელოს ის კაცი, რომელმა კაცმაც კაცს ხელი მოუმართოს!

— იშე, ეგ რა კარგი სადღეგრძელო მაიგო... ღმერთმა აღდეგრძელოს!

— შენ, როგორც გეტყობა, ძალიან გულში ჩაგჭრია ოქროულას რძალი?

— შენ დამეხმარე და ერთი სადღობელიერთ მაქანებინე ისა.

— ქაჩალი აქიმი იყოს, თავისს თავს მაირჩენდა! მე-კი არ უკრავენებ კბილებს, რო ვერას გავხდი. ყველა პატარძლების გემო გავიგე და ეგ-კი ვერ ჩავიგდე ხელში. ქოკოს ბიჭს, გზირია, ხო იცნობ, ვისაც მიუხვე, ცარიელი აღარ მოვა — ბერს რო შეუდგეს, ბერს შააცდენს. იმასთან-კი მაიღალა და პირი ვერ დააკერევინა იმ... იქნება კიდე მოვიგდებდი ხელში როგორმე, რო დედამთილი არა ჰყავდეს ისეთი ქვა-ძაღლი.

— ვაჰ, ის ქოფაკი, ისა! რამთენჯერ დაველოიჯე, ხან ფული ვაძლიევე, ხან დავემუქრე, მაგრამ არა მეშ-

რებდა შემოკვრას, მაგრამ ეღარ მოასწრო, რადგანაც გააკავეს და ჩანგალი ხელიდგან გამოსტაცეს. ჩანგალს შუა კბილი არა ჰქონდა, ამ ყმაწვილს გლეხს ჰრილობა დაუსივდა.

## უცხოეთი

გერმანია. თუმცა თითქმის ევროპის ყველა გაზეთებს დიდი იმედი აქვთ იმპერატორების შეხვედრისა, ლონდონის სამინისტრო გაზეთი „Standard“-კი ეჭვით უყურებს ამ ორთა იმპერატორთა ერთმანეთის ნახვას. ტყუილად მოელიანო, — ამბობს გაზეთი: — რომ ეს ნახვა ერთმანეთისა იმპერატორთა კიდევ ახალი თავ-მდებია იმისა, ვითომ მშვიდობიანობა დარღვეული არ იქმნებაო. პოლიტიკის აწინდელი მდგომარეობა სულაც არავის აძლევს საბუთს ამის თქმისას. რუსეთს ერთი და ერთი გამოთქმული აქვს, რისაკენაც მიისწრაფის, და თუ ეს სურვილი აუსრულდა, რა თქმა უნდა, ავსტრიას არაფრად ეპაშნიკება, რადგან იმისათვის საზარალო და საზიანოა. გერმანიას არ უნდა, რომ ავსტრიას ევნოს რამე, მაგრამ ამასთან არც რუსეთთან არის უთანხმოებას მოწადინებული, რადგან თავად ბისმარკს ეშინიან, საფრანგეთი და რუსეთი არ შეუკავშირდნენ ერთმანეთსაო. აქედგან ცხადია, რომ თუ ამ ორთა იმპერატორთა ნახვას შედეგი ექნება რამე, ეს დღევანდელის მდგომარეობის გახანგრძლივება იქნება, ე. ი. ავსტრია ისევე გაფაციცებით ადევნებს თვალს რუსეთს, გერმანია — საფრანგეთს და ორხივე სახელმწიფო-კი შეიარაღებასა და ჯარის საომარს ფეხზედ დაყენებას თავს არ დაანებებს. ავსტრია არას დროს არ დასთანხმდება, რომ რუსეთს თავისუფლად მოქმედების ნება მისცეს ბალკანიის ნახევარს კუნძულზედ და გერმანია-კი წინააღმდეგი იქნება, ვინიცობაა რუსეთმა ავსტრიის განადგურება მოიწადინოს. ვილჰელმის რუსეთში წასვლამ რუსეთის მთავრობას ისეთი გული მისცა, რომ არამც თუ თავის ნათხოვნს არ დაუკლებს, პირიქით, შესაძლებელია, რომ უფრო მეტიც მოითხოვოსო.

— რომის საპოლიტიკო წრეებში დაბეჯითებით ამბობენ, რომ გერმანიის იმპერატორი ოქტომბერში რომში მოვა და კვირინალში ჩამოხდებაო.

— ვენის გაზეთ „Neue Freie Presse“-ს აუწყებენ დეპეშით ლონდონიდგან: „რადგან გერმანელის ექიმების შედგენილი ანგარიში იმპერატორის ფრიდრიხ III-ის ავადმყოფობის გამო ბევრში სწორე არ არის, ამიტომ იმპერატრიცა ვიქტორიამ მიანდო სერ მეკენზის, რომ უტყუარი ანგარიში შეადგინოს იმის უდიდებულესის ქმრის ავადმყოფობაზედ. მეკენზის თანხმობა გამოუცხადებია, რადგან იმპერატორის ავადმყოფობის დროს ყოველ დღე შენიშვნებსა სწერდა თურმე. ჯერ-ჯერობით თითონ მეკენზიმაც არ იცის, როგორ მოიქცევა შემდეგში იმპერატრიცა, და გამოაქვეყნებს, თუ არა იმის მიერ შედგენილს ანგარიშსა“.

სერბია. სერბთა შორის ავსტრიასა და ავსტრიის გარეთაც დადის თურმე ჩუმად და ფარულად სერბიული კათეხიზმო, რომელიც ავსტრიის წინაალმდეგ არის დაწერილი. ეს წიგნი ძალიანა ვრცელდება, თუმცა-კი ჯერაც არავინ იცის, ვისი შედგენილია. ავსტრიისა და ვენგრიის მთავრობა ძალიანა სდევნის ამ წიგნის მსყიდველთ და სჯის. აი თვით შინაარსიც მოკლედ:

— რამდენია სულ სერბი?

— ექვსი მილიონი.

— სადა სცხოვრობენ?

— სერბიასა, ჩერნოგორიასა, ავსტრიასა, ბოსნიასა, ჰერცოგოვინასა, ოსმალეთსა და ბოლგარიაში.

— რა სარწმუნოებისანი არიან?

— მართლ-მადიდებელნი, კათოლიკენი და მაჰმადიანნი.

— განა მაჰმადიანნიც არიან სერბნი?

— არიან, იმიტომ-რომ ზოგ მაჰმადიანთ ენა და ზნე-ჩვეულება სერბიელთა აქვსთ და იმათი მამა-პაპაც ძველის-ძველად სერბები ყოფილან.

— აქვსთ თუ არა სერბებს სახელმწიფო?

— აქვსთ ორი: სერბია და ჩერნოგორია.

— ყოველთვის იყო თუ არა ავსტრია სერბიის მტერი?

— ყოველთვის. ავსტრია სცდილობდა, რომ პირველშივე სერბია არ განთავისუფლებულიყო. ბოლოს ამ ქვეყნის დამოუკიდებლობის გამოცხადების წინააღმდეგი იყო და ეხლა კიდევ იმას არის მოწადინებული, რომ სერბიის შინაგანს განვითარებას შეუშალოს ხელი.

მშვენიერი კათეხიზმოა, თქმა არ უნდა.

ბოლგარია. ვენის „Deutsches Wochenblatt“-ს შემდეგი ადვილი სახსარი უპოვნია ბოლგარიის დაუწყნარებელ საქმის დასაბოლოებლად. გაზეთი ამბობს, რომ, რუსეთის დასაკმაყოფილებლად, პრინცი ფერდინანდის მაგიერად, რომელსაც ეხლავე უპირს ბოლგარიის მართვა, მთავრად დავაყენოთ ჰერცოგი კუმბერლენისა, რომელსაც ბოლგარია განნოვერის დაკარგვისათვის დააკმაყოფილებს და რომელიც რუსეთის იმპერატორს ნათესავად მოჰხვდება. იგი შეიძლებს ბოლგარიის დამოუკიდებლად მართვას. შეუძლიან ეხლავე განაცალკევოს აღმოსავლეთი რუმელია ოსმალეთისაგან და ბოლგარია ცალკე სახელმწიფოდ გამოაცხადოსო.

## წვრილი ამბები

აწ გამეფებულს იმპერატორს ვილჰელმ მეორეს ტახტზე ასვლის დროს 34 ორდენი ჰქონდა. ორდენის რაოდენობით იმპერატორი პირველ კაცად არ ჩაითვლება გერმანიაში, რადგან თ. ბისმარკს ამ ჟამად 49 ორდენი აქვს, გრაფ მოლტკეს—52, გრაფ პერპონჭერს—46, გრაფ მოლტკეს—46, გრაფ ლენსდორფს—23. გერბერტ ბისმარკს 23 ორდენი აქვს. განსვენებულს იმპერატორს ფრიდრიხს 72 ორდენი ჰქონდა.

— დანია 15 ნოემბერს იდღესასწაულებს 25 წელს თავისის ქხლანდელ ხელმწიფის მეფობისას. მკვიდრთ ხელის მოწერა გაუმართავსთ და ამ დღესასწაულზე სდომებიათ მეფეს საჩუქრად ერთი მამული უყიდონ იუტლანდიაში. გაუგია ეს ამბავი მეფეს და გამოუცხადებია, რომ მაგ საჩუქარს ვერ მივიღებო. სინიდისი ნებას არ მომცემს, რომ ეხლა, როცა დანია ასეთს ეკონომიურს გაჭირვებშია, მკვიდრთაგან საჩუქრები ვიღოვო.

— საინტერესო ნიმუში მოჰყავს პოლიციელთა მოქმედებისა ინგლისში გაზ. „Schlesische Zeitung“-ის კორესპონდენტს, რომელიც შემთხვევით დასწრებია ამ ამბავს ლივერპულში. გადმოსულა თუ არა გემიდგან, კორესპონდენტს წყლის პირას შეჯგუფებული ხალხი დაუნახავს. დიდის წვალებით გაურღვევია ხალხი და უნახავს, რომ ვიღაც საცოდავ კაცი დაუჭერია ერთს კაცს საყელოდგან, პოლიციელს იწვევს და ხრიკის, რომ ამ კაცმა ჯიბიდგან 500 მანათიანი ბილეთი ამომაცალაო. პოლიციელნიც მოვიდნენ. რადგან ინგლისის კანონების ძალით, ქურდობაში გასამტყუნებლად ზრახ სადმე საბუთი უნდა იპოვნონ უეჭველად, პოლიციელებმა ქურდის გაჩხრეკა დაიწყეს. ამ დროს ქურდმა ხელი და პირი უეცრად მოძრაობაში მოიყვანა. აშკარა იყო, რომ რიღაცის ჩაყლაპვა უნდოდა. გამოცდილმა მოხელეებმა დაინახეს თუ არა ეს, მაშინვე განიზრახეს ქურდისათვის პირიდგან გამოეცალათ ნაქურდალი. ერთმა პოლიციელმა კისერში წაუჭირა თურმე ქურდს ხელი, ხოლო დანარჩენმა ორმა-კი პირის გაღება დაუწყეს, მაგრამ ბრგე და მოსულ ვაჟკაცს ვერაფრით ვერ გაუხსნეს კრიჭა. ამის შემდეგ ერთმა პოლიციელთაგანმა თვალებში ხელები წაუჭირა ისე მაგრად, რომ ქურდს კინაღამ კაკლები გადმოუცვივდა თურმე ბუდიდგან, მაგრამ იგი მაინც პირ-მოკუმული იდგა და ტუჩებს ძვრა არ უქმნა. დასასრულ ერთმა წააქცია თურმე ქურდი დედამიწაზედ, მუხლის თავით დააწვა, ჯიბიდგან რაღაც რკინის იარაღი ამოიღო და პირს უღებ-

---

ველა-რა. ის ძაღლი ასე-კი მეუბნება: „თუნდა ეხლავე ლუკმა-ლუკმა ამკუწოვო, მე ჩემ რძალს ჩიქილას არ მოვხდიო და ნამუსს არ გაუტეხამო. ან რა საკადრისია შენგან ეგაო, რო მაგასა ჰკადრულოფო“.

— თითონ რძალიც რო შობელძაღლია! ორჯელ ენახა ქიკოს ბიჭს სალაპარაკოთ და ეთქვა. ერთხელ ეთქვა: „სწორეთ იმედი გქონდეთ, რო მე ან გვარი და ან თავი შავირცხვინოვო“. მეორეთ კიდე გეელანძღა კარგა და გემეგდო: „მე მამასახლისისათვინ-კი არა, თავისთვინ მამიყვანა ჩემა პატრონმაო“.

— . . . ეხლა ხო ჩემ ხელთ არი. შენ მხარი დამიჭირე ერთი ის ვაგლოთ მოსათელ ნაბადივით. მემრე საცა წვრილი იყოს, იქ გაწყდეს!

— თუ-კი შემეძლება რამე, მაგაზე რაღა თქმა მინდა?

— ოქროულას ბიჭი ხო ვერ გაჰტეხამს იმ კაცს, ვისაც ნაბადი ჰქონია გასასყიდი. მე მაგას ჩავკიდებ ხელს. ჯერ აქ ვატოკოთ: როცა მოვიდეს შენთან, ისეთები ჩააბარე, რო გული გადმოუბრუნდეს — ევევ ჯერ ისე მოვახერხოთ. თუ აღარ იქნა და მაშინ „სულში“ უჩივლებ. მაგას დავაბრალებ ჩემი „ვეჰჩების“ მოპარვას. მაგას იქ ჩააბამენ და ბურთი და მოედანი ჩვენ დაგვრჩება მაშინ.

— ბატონი ბძანდები. აბა დალიე ერთი ეგ სტაქანი!

— ღმერთმა ადღეგრძელოს ის კაცი, რომელიც კაცს ხელს გაუმართამს!

რადგანაც თავიანთის თვისისა და ტომის სადღეგრძელოები წინადვე გაათავეს და ღვინო კი ისევა სწყუროდათ, დაიწყეს სადღეგრძელოების მოგონება და თან შეჰკვეხოდნენ ერთმანეთს, „ვინ ვისა გემო გაიღო“.

— მე შენზე გაცილებით ბევრი ჰაშნიკები მინახამ, — დაასკვნა ბოლოს მამასახლისმა.

რადგანაც მამასახლისის სახლში ფეხი შევდგით, ბარემ გავიცნოთ მამასახლისიცა და იმისი კარ-მიდამოც. ოცის წლის წინად გიგია მოსული-შეილი ერთს სომეხს მოჯამაგირეთ ეჭირა, ტყიდამ ვირებით შეშას აზიდვინებდა. სომხიდამ რომ გამოვიდა, ერთ თავადიშვილთან, იმ დროს გაძლენიან კაცთან, დადგა მოჯამაგირედ-მედუქნედ. მედუქნობამ დიდი სარგებლობა მოუტანა გიგიას. გარდა იმისა, რომ ბოლოს დუქანი თავისთვის დაინარჩუნა, ძალზედ გამოიცადა ყოველიფერში. თოთხმეტის წლის წინად შევიდა მამულზედ სოფელ მრავლეთში და დაიწყო მეკომური ცხოვრება. შვიდის წლის წინად გიგია ამოირჩიეს მამასახლისად და მას აქედ მამასახლისობას არავინ შესცილებია. მაშინ, როდესაც მოგვევლა ჩვენ შემთხვევა მამასახლისის გაცნობისა, იგი მესამე ყაელობაზედ იყო ამორჩეული. გიგიამ ძრიელი ნიჭი გამოიჩინა მამასახლისობაში: იმისი ცხოვრება წარმატებაში არ მიდიოდა-კი, მიფრინამდა. თავისს პირველ მამასახლისობაში გააკეთა ორ-ოთახიანი ქვითკირის სახლი, დიდრონის ფანჯრებით, ლამფით და ფილაქნით დაფენილი, და ზემოდამ კრამიტი დახურა. მეორე ყაელობაზედ შეიძინა ერთი დიდი ზვარი, ეზოს შემოაველო მაღალი ღობე ქვის კარებით, დადგა ქვითკირის, კრამიტ დახურული, მარანი და შეაბა საკუთარი გუთანი. მესამე ყაელობაზედ დადგა ბეღელი და სათონე, გაიჩინა ცხვარი, ძროხა და ღორი. იმისი ფიქრი ეხლა საბძელ-კალოზედ იყო მიქცეული. მესამე ყაელობაზედვე მორთო სასტუმრო ოთახი — გააკრა შპალერი. მორთულობა აუცილებელს საჭიროებას შეადგენდა ოთახისათვის, რადგანაც ბევრი მომსვლელ-წამსვლელი ჰყავნდა. გიგიას პურ-მარილი მთელს მაზრაში განთქმული იყო და გუბერნიის ქალაქშიაც ჩააღწია იმისმა პურადობის ამბავმა. ერთი სირაჯი არ მოვიდოდა კახეთში ისე, რომ წინად იმასთან არ ჩამომხდარიყო. მთელი თავადიშვილობა მაზრისა წელიწადში ორჯელ მაინც ჩაუდგებოდა ხოლმე სახლში და ატარებდნენ სანატრელს დროებას. მაზრის უფროსიც ეწვეოდა ხოლმე გიგიას ხანდისხან. „ჩინონიკები“ ხომ იმისი ძალიან ხშირი სტუმრები იყვნენ. მასპინძლობა განთქმული იცოდა: იმის სუფრაზედ „ჩიტის რძეც-კი“ გაჩნდებოდა ხოლმე. უფრო განთქმული იყო გიგიას „ტომბახები“ მამასახლისად არჩევის გამო. პირველს ამორჩევაშიკი ვერ გააკეთა სანუკარი ტომბახი და მაშინ ვერც არავის იცნობდა მაგრე რიგად. მაგრამ მეორე და, ნამეტნავად, მესამე ამორჩევაში-კი... ღმერთმა ნუ დაგილიოთ! მომრიგებელიშუაკაცი, მაზრის უფროსი თავისის ამალით, თავადიშვილები, რომელნიც დასდევდნენ უკან მაზრის უფროსს ამორჩევების დროს, და მთელი სოფელი სულ გიგიას ჩაუდგებოდა ხოლმე სახლში. ჯერ არჩევანი არც-კი იყო ხოლმე დაწყებული, რომ გიგიას მარანში სამი და ოთხი ქვევრი იყო მოხდილი და თანაც ეუბნებოდა გიგია ხალხს: „ეს არის უნდა გემეგეთხოვოთ და ყველას დეგელოცინოთო“. ის-კი არა თუ, გამოთხოვების მაგიერად, ისევ მამასახლისობას ულოცავდნენ.

რასაკვირველია, ამისთანა ხარჯისა და სტუმართ მოყვარე კაცისათვის კარგი, სუფთა სახლი იყო საჭირო. აი ამისთვის ააშენა წინა პირველადვე სახლი, ერთი ოთახი დანიშნა სასტუმროდ და მესამე მამასახლისობაში შპალერიც გააკრა. სასტუმრო ოთახში შემსვლელს პირველადვე თვალებში ბუხარი ეცემოდა. ბუხარს აქეთ-იქით იყო განჯინები, სადაც ელაგა თევზის კონები, წნილის ქილები და სუფრის მასალა — დანა-ჩანგალი, სალფეტკები, თეფშები და სხვა. მარჯვენა მხარეს იყო წალო ქვეშაგებით სავსე, წალოს წინ — ტახტი, ხალიჩებით დაფენილი; მარცხნივ კედელზედ ეკიდა ერთი თოფი, შევერცხლილი, დამბაჩა, ხმალი და სასწრაფე. მეორე ადგილს ეკიდა წყვილი შევერცხლილი და ვერცხლის ჯაჭვითვე გადაბმული ჯიხვი, სხვებს მოშორებით — იუხტის ახალი წაღები და იმათთანვე ერთი თავი შაქარი. ფანჯარაში იდგა სამოვარი, ფანჯრის წინ სტოლი და კედლის ძირზე გამწკრივებული იყო ათიოდე ბალიშიანი სკამი. მეორე ფანჯარაში, ტახტის ბოლოს, ეყარა მამასახლისის დავთრები სამსახურისა და შინაურის საქმეებისა.

თითონ გიგიაც კარგი და წამოსადეგი ვაჟკაცი იყო. მაღალის ტანისა, მსხვილმხარ-მკერდიანი, მწითურის სახისა, შავი თმა-წვერი ჰქონდა, თუმცა წვერს ყოველთვის იპარსავდა, და შავ თვალწარბა იყო. ტანზედ იცვამდა შავს პრუნელის დოშლულიანს ახალუხს, შავის ფოხოხის შალის ჩოხა-შალვარს; თავზედ იხურავდა მაღალს, წითელს ქუდს და, რაც მამასახლისად ამოირჩიეს, სულ იუხტის წაღებს იცვამდა. წელზედ ერტყა შევერცხლილი ქამარხანჯალი. თუ გიგიას ყელზედ მამასახლისის ჯაჭვი არ ექნებოდა გაკეთებული, უცნობს კაცს სირაჯი ეგონებოდა. არც იკეთებდა ხშირად ჯაჭვს. მართალია, წინა პირველ ამორჩევაში ყოველთვის ზედა ჰქონდა ჯაჭვი, მაგრამ მეორე და მესამე ყაელობაზედ, როცა ყველა მამასახლისადა სცნობდა უჯაჭვოდაც, აღარა კადრულობდა ჯაჭვის გაკეთებას; იკეთებდა მაშინ, როცა საჭირო იყო. სხვა უიმისო დროს-კი ჯიბით ატარებდა. ლაპარაკი ხალხში გიგიამ ხშირად არ იცოდა. ყოველთვის იმასა სცდილობდა, რომ თავი მაგრა დაეჭირა. ახს კაცს რომ ეჩივლა ერთად, მარტო ისმენდა ისე, თითქოს სხვა რასმეზე ჰფიქრობსო და მოჩივარს ყურადღებას არ აქცევსო. ერთხელ არ დაილაპარაკებდა და, თუ იტყოდა რასმე, უთუოდ იქ მდგომ გზირს დაელაპარაკებოდა. მაგრამ თუ თავის ჰამქარში ჩაერდებოდა, ან თავადიშვილის ყმაწვილებში, იმის ლხინსა და ხუმრობას საზღვარი არა ჰქონდა. ყველაზედ ხშირი სტუმარი გიგიასი „კნიაზი შაქრო“ იყო. წელიწადში იმდენჯერ თავისს სახლში არა სჭამდა პურს შაქრო, რამდენჯერაც მამასახლისთან. მამასახლისიც ეფერებოდა შაქროს, რადგანაც მერქანი, მარგილი, ჰიგო, შეშა-ფიჩხი ბლომად უნდებოდა ყოველ წლივ და შაქროც უფასოდ აძლევდა ნებას საზოგადო ტყიდამ ესარგებლნა.

მელანია

(შემდეგი იქნება)

და. პოლიციელმა სამი კბილი გაუტეხა ბრალდებულს, თითონაც სისხლში გაიბასრა და ისიც გაბასრა და ის-ის იყო მიაღწია ბილეთამდე, რომ ქურდმა პირი დააცმაცუნა და... ჩაყლაპა ნაქურდალი. გაბრაზიანებულმა პოლიციელმა წამოაყენა თურმე ქურდი და წაიყვანა პოლიციაში, საიდგანაც მეორე დღესვე გაანთავისუფლეს ქურდი, რადგან დამამტკიცებელი საბუთი არა ჰქონდათ-რა. ქურდმა რომ ითმინა იმდენი ტანჯვა და სისასტიკე, საკვირველიც არ არის თურმე, რადგან ბილეთი რომ გამოერთვათ, ოცის წლით ციხეში დაპატიმრებას გადაუწყვეტდნენ. საკვირველი ამ ამბავში კიდევ ის არის, რომ იმდენს ხალხში, რომელიც ეხვია ამ, რაც უნდა იყოს, სამარცხვინო სანახავს, არავინ ხმა არ ამოიღო თურმე წამებულის სასარგებლოდ და პოლიციელნი არხეინად სტანჯავდნენ.

— ვიღაც მილეს, მილიონების პატრონ ვაჭრის შვილს, შეჰყვარებია ერთი Ambigu-ს თეატრის მოსამსახურე ქალი და იმისი შერთვა სდომებია. ვაჟის მშობლები, რასაკვირველია, ამ ქორწინებაზე არ დათანხმებულან. ამის გამო ეს ქალი, ანტუანეტა შლენკო, მისულა თავისს ძმასთან ერთად ვაჟის მშობლებთან და გამოუცხადებია: „ძალიან კარგად მესმის, რადაც არ დასთანხმდით ჩვენს ქორწინებაზე; ხოლო რადგან თქვენს შვილს სიტყვა აქვს მოცემული, რომ უნდა შემირთოს, თუ გნებავსთ შემდეგის პირობით მოვრიგდეთ: 8,000 მან. მომეცით და მომავალს კვირას სხვას მივთხოვდები და დაგამშვიდებთო". ეს მოთხოვნილება გამბედავის ქალისა მაშინვე შეუსრულებიათ.

— ნეაპოლში ამას წინად ერთსა და იმავე დღეს თავი მოუკლავსთ ორს მომღერალს ქალს თეატრისას—ამალია როკკას და ანიტა მონცანის. M—lle როკკა, საკვირვლად და საოცრად ლამაზი და მშვენიერი ქალი, დანიშნული იყო თურმე ერთს არტისტზე, ხოლო იმ არტისტმა, სწორედ ქორწინების წინა დღეებში, დაანება თავი საცოლეს და ამერიკაში მოჰკურცხლა. სასოწარკვეთილებით უმაწვილი ქალი შეპეტილა თავისის საქმროს ოთახში და თავი მოუწამლავს. იმისმა ოც-და-ხუთის წლის ამხანაგმა ქალმა, ანიტა მონცანიმაც, იმავე დღეს ნახშირის ბუღით მოიკლა თურმე თავი უბედურის სიყვარულის გამო.

— სიმფეროპოლში ერთი თვით-მკვლელობა მომხდარა ამას წინად, ისეთი, რომ ჩვენს დროშიაც-კი, როცა საკვირველი და საოცარი აღარა არის-რა, საოცარია. თავი ჩამოუხრჩვია 95 წლის მოხუცს და თვით-მკვლელობის მიზეზი ისა ყოფილა, რომ მოხუცს გულში ნაღველი ჩასჭრია, წელს საზამთრო რატომ არ მოვიდა ბევრიო.

— ნასსაუში დეპეშათა სადგურს სასაცილო შეცდომა მოსვლია. მინისტრს ფეილიტუშს მოელოდნენ თურმე და ამიტომ ჩირაღდანი უნდოდათ გაემართათ, ხოლო რადგან შუშხუნები ვერ იშოვნეს იმ ქალაქში, დეპეშა მისწერეს რეგენსბურგში, ხომ ოცი ცალი შუშხუნა გამოგვიგზავნეთო. ამასობაში აი რა მოხდა: ცუდად იყო დეპეშა დაწერილი, თუ დეპეშათა სადგურის მოხელემ ვერ წაიკითხა, ხოლო ის-კი ნამდვილია, რომ შუშხუნას მაგივრად ბოლოკი ამოუკითხავსთ და ამიტომ ნასსაუში ერთი კალათა ბოლოკი გაუგზავნიათ მინისტრის დასახვედრად.

— კომპოზიტორს გუნოს ძალიან აწუხებენ თურმე არა-მკითხე სტუმრები და ამიტომ მეტად გაჯავრებულია. ეხლა გუნოს ამ ვაჟბატონების თავიდგან მოსაშორებელი საშუალება უპოვნია. თავისს მამულში წასვლის წინად ოთხი ათასამდე წერილი დაარიგა თურმე, რომელშიაც ყველას აუწყებდა: „მემუსიკე შარლ გუნო უსატკივროდ გარდაიცვალა, თითონვე დაჰმარხა თავისი თავი თავისს მამულში და, თუ გამოცოცხლება დაეტყო, მაშინვე აუწყებს პატივცემულს საზოგადოებასაო".

# დეპეშა

14 ივლისი

ვარნა. პასუხი ოსმალეთის მთავრობისა იმის შესახებ, რომ რუსეთს გადუხადოს ვალი, რომელიც ომის გამო დაედო, ჯერ არ გადაუციათ ელჩის ნელიდოვისთვის, ხოლო სულთანისთვის-კი წარუდგენიათ დასამტკიცებლად. პასუხის პროექტში ბოდიშია მოხდილი და ახსნილი, თუ რის გამო მოხდა ასეთი დაგვიანება; ამასთანავე ჰპირდებიან, რომ შემდეგ დროისთვის გადასახადი დროზედ იქმნება წარმოდგენილიო. ტყუილია ის ამბავი, ვითომ რუსეთისთვის ახალი გარანტია მიეცათ.

პეტერბურგის ბირჟა, 12 ივლისი

| | მყიდველსა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 8 50 | — „ | — „ |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | — „ | $170\frac{3}{4}$ |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | — „ | 1 33 | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — „ | — „ | $268\frac{3}{4}$ |
| —მეორისა . . . . . | — „ | — „ | $251\frac{3}{4}$ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — „ | — „ | — „ |

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპჱ(1888)წელიწადია ქვეყნის შექმნიდამ 7396.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—ჳპ=480წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მდ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1888 წლის ზედ-ნადებია—25.

მკათათვე 31 დღით არის.

15 დღე პარასკევი. ივლიტესი. კათოლ. წმ. იმპ. ჰენრიხისა. სომეხ. მარხვაა. მუსულმ. მე-18 რიცხვი თთვისა ზილ-ყაადესი, 1305 წ. ჰიჯრისსა.—პოეტი მ. ლერმონტოვი, 25 წლისა, დუელში მოჰკლეს პიატიგორსკს, 1841 წ.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6. ტფილისში მზე ამოდის 4—49, ჩადის 7—23. მთვარე 19 დღისაა.

16 დღე შაბათი. წამება ათინოგენისა და მისთა ათთა მოწაფეთა. კათოლ. წმ. ღვთის-მშობლისა კარმელითელისა. სომეხ. წმ. სომეხთა მეფისა ტრდატისა, იმის მეუღლის აშხენისა და დისა ხოსროვედუხტისა. ნახატონაქი. მუსულმ. მე-19 რიცხვი თთვისა ზილ-ყაადესი, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6. ტფილისში მზე ამოდის 4—50, ჩადის 7—22. მთვარე 20 დღისაა.

17 დღე კვირა. დიდად წამ. მარინესი და ღირსისა ლაზარესი. კათოლ. წმ. ალექსისა. სომეხ. ქორწინებათა ნება ეძლევათ. მუსულ. მე-20 რიცხვი თთვისა ზილ-ყაადესი, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6. ტფილისში მზე ამოდის 4—51, ჩადის 7—21. მთვარე 21 დღისაა.

18 დღე ორშაბათი. ღირსისა იაკინთესი. კათოლ. წმ. სვიმონისა სომეხ. წმ. კალისტრატესი. მუსულ. მე-21 რიცხვი თთვისა ზილ-ყაადესი, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6. ტფილისში მზე ამოდის 4—52, ჩადის 7—20. მთვარე 22 დღისაა.

19 დღე სამშაბათი. ღირსისა მაკრინესი. კათოლ. წმ. ვიკენტისა. სომეხ. წინასწარმეტყ. ზაქარიასი. მუსულ. მე-22 რიცხვი თთვისა ზილ-ყაადესი, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6. ტფილისში მზე ამოდის 4—53, ჩადის 7—19. მთვარე 23 დღისაა.

20 დღე ოთხშაბათი. წმ. წინასწარმეტყველის ილიასი. კათოლ. წინ-მეტყ. ილიასი. სომეხ. მარხვაა. მუსულ. მე-23 რიცხვი თთვისა ზილ-ყაადესი, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6. ტფილისში მზე ამოდის 4—54, ჩადის 7—18. მთვარე 24 დღისაა.

## გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 ივლისიდამ 1 აგვისტომდე

| | |
|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. . | 5 კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა. . | 3 „ |
| „ 2 „ | $2\frac{1}{2}$ „ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 „ |
| „ „ 2 — | $3\frac{1}{2}$ „ |
| „ „ 3 „ | 3 „ |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | „ |
| 1-ლის ხარისხისა . . | 5 |
| მე-2 ხარისხისა . . | 4 |
| მე-3 — . . . | „ „ |
| ძროხის ხორცი . . . | 8 „ |
| „ 2 „ | 7 „ |
| სუკი . . . | 14 „ |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 8 „ |
| ღორის ხორცი . . . | „ „ |
| „ 2 „ | „ „ |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარგარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით, ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით, რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

კვირაობით, საღამოზე, და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ სადგურებისაკენ, ხოლო თუ საჭიროა, ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, ბანკის ქარვასლაში, № 101.


# განცხადებანი

## ცნობათა უმთავრესი კანტორა

შ. ვ. დავიდოვისა.

ეს ქართულ-ევროპული კანტორაა ქ. ტფილისში, რომელსაც მთავრობისაგან ნება-დართულია და რომელსაც აქვს შეტანილი ხაზინაში.

კანტორასა აქვს საგნად შეჰკრიბოს და მოიპოვოს ყოველ-გვარი ცნობა, რომელიც-კი საჭიროა და სასარგებლო ვისთვისმე. კანტორას ეცოდინება, სად, რომელი, ვისი და როგორი მამული ისყიდება, გირავდება, ან იჯარით და ქირით იძლევა და რა ფასად; ვის უნდა სახლი დაიქირაოს, ან გააქირაოს ქალაქში, ანუ ქალაქ გარეშე; სად რა ბანკები, ანუ საავჭრო და სატრანსპორტო დაწესებულებანი არიან და რა წესები აქვსთ შემოღებული თავიანთ საქმეში; ვინ ეძებს და ვის უნდა იშოვნოს საადვოკატო, სამწერლო, სამასწავლებლო და სხვა ამ გვარი, ანუ სხვა საქმე: მუშაობის, პრიკაზჩიკების, მოახლის, მოსამსახურის ადგილი და სხვა.

არზების და სხვა ქაღალდების შედგენა.

ქ. ტფილისი, თავად-აზნაურ. ბანკის ქარვასლა (არწრუნისეული), თეატრის ქვეშ.

ვემებ ფრანგულის ენის

## გაკვეთილებს.

მსურველებს შეუძლიანთ ამბავი შეიტყონ ჩიმიშკიანის შენობაში, პირველის ნავთობის(?) ქუჩის ბოლოს. პეტრე მირიანიშვილი

(10—6)

## ტფილისში

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" კანცელარიის წიგნთსაწყობში ისყიდება

მ. ჯანაშვილის მიერ შედგენილი წიგნები:

ა) საქართველოს საეკლესიო ისტორია (ფასი 45 კ.);

და ბ) საქართველოს მოკლე ისტორია (სამი აბაზი).

შენიშვნა. უკანასკნელი გამოცემა საერო განათლების სამინისტროსაგან „მოწონებულია იმ სასწავლებელთათვის, რომლებშიაც ასწავლიან ქართულს ენას" (სამინ. მოხს., 24 ოქტომ. 1884 წ., № 6037).

## წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 109, 110)

ისყიდება ყოველ გვარი წიგნების რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულ, ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ქართული გრამატიკა, შედგენილი არ. ქუთათელაძესაგან . . . . . . . | „ | 40 |
| ხუთი ამბავი, საყმაწვილო ამბები, ფრანგულიდამ გადმოღებული ან. თუმანიშვილის მიერ. . . . . | „ | 15 |
| სწორ-მეტყველება, სახელმძღვანელო გრამატიკისა, პ. კვაცარიძისა . . . . . . . | › | 40 |
| ქადაგებანი გაბრიელ ეპისკოპოზისა I ნაწ. . . . . . | 1 | 50 |
| II ნაწ. . . . . . | 1 | 50 |
| ბუნების მოვლენანი, ს. მესტიაშვილისა . . . . . . | „ | 15 |
| ფშაური ლექსები, გაზ. „ივერიის" გამოცემა. . . . | „ | 40 |
| ჰამლეტი, ტრაგედია შექსპირისა, ინგლისურით ნათ. ი. მაჩაბლის მიერ. . . . | „ | 30 |
| ქადაგებანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოცემა . . . . . . . | „ | 50 |
| საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც. . . | 3 | „ |
| სამართლის წიგნი ვახტანგ რჯულ-მდებლისა (რუსულს ენაზე) . . . . . | 3 | 50 |
| ვაზის ობი. . . . . . . | „ | 10 |
| მარინე, ისტორიული მოთხრობა გუნიასი . . . . | „ | 30 |
| ტიპიკონი, რ. სუნდაძისა. . | 1 | „ |
| საახალწლო, ნ. ნიკოლაძისა . | „ | 40 |
| საქართველოს მეფეებზე, გულისაშვილისა . . . . | „ | 15 |
| გულივერის მოგზაურობა . | „ | 50 |
| ლოცვანი, ღამბაშიძისა . . | „ | 30 |
| სიკვდილი მართლისა, პონტოელი პილატეს მეუღლის წერილი თავის მეგობარ ქალთან. | „ | 5 |
| მცხეთის ტაძარი, გამოც. ღამბაშიძისა . . . . . . . | „ | 25 |
| საუკეთესო ცოდნა, გიორგი წერეთლისა, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა . . . | „ | 20 |
| ოტელო, შექსპირის ტრაგედია, ი. მაჩაბლის ნათარგმნი ინგლისურიდამ . . . | „ | 50 |

## კელერის ქინაქინის წყალი

თავზე თმბოს მოსასპობლად და თმების გასამაგრებლად. ყველა მსყიდველი ხმარებისათანავე ჩქარა დააფასებს ამის ღირსებას და ამჯობინებს და უპირატესობას მისცემს სხვა ამ გვარს საშუალებაზე.

ისყიდება პროვინციის ყველა დიდ მოვაჭრეებთან; მოსკოვში—რ. კელერთანა და ამხ., ნიკოლსკის ქუჩაზედ. 3—1 (ц.)

## ტყავის წასასმელი კელერისა.

ეს ჩინებული, თავის უქებრად რომ ვსთქვა, ტყავის წასასმელი კარგად და საჩქაროდ ისმევა, ვაქსის მაგიერ, ფეხთ-საცმელზე (განსაკუთრებით ქალისაზე), საკვოიაჟზე, ცხენის მოსართავზე, ეტლებზე და სხვანი; წასასმელს ტყავს შავს ფერს აძლევს და ამაგრებს კიდეც ისე, რომ წყალი ვერ შეატანს. თავისის სასარგებლო თვისებათა გამო იგი ღირსია, რომ ყოველს ოჯახში იხმარებოდეს; ჯერ მარტო ის გარემოება, რომ ქალების ფეხთ-საცმელზე ვაქსის მაგივრად იხმარება და ამასთან საცვალს არა სვრის, ღირსია ყურადღებისა და უფლებას აძლევს, რომ გავრცელდეს და საერთო სახმარი გახდეს, ამ წასასმელის ჭურჭელი, თუმცა იაფ ფასად ისყიდება, მაინც ერთი-ორად დიდია საზღვარ-გარეთის ესრედ წოდებულს „ფერის მიმცემელ ლაქისაზე".

ისყიდება პროვინციაში ყველა დიდ მოვაჭრეებთან; მოსკოვში—რ. კელერთანა და ამხ., ნიკოლსკის ქუჩაზედ. 3—1 (ц.)


Доз. ценз. Тифлисъ, 14-го Іюля 1888 года. სტამბა ე. გ. მესხისა, (Типографія Е. Г. Месхи). на Гол. просп. д. Шабурова. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე